„ვამტკიცებ“

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია

---

5 აგვისტო 2026

2014-2015 წლებში დაბადებულ ვაჟთა საქართველოს სარეიტინგო ჩემპიონატი 3

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

26-27 სექტემბერი

2026

თბილისი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია.

II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად.

III. შეჯიბრების მონაწილეები

- შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან 2014-2015 წელს დაბადებული ვაჟი ძიუდოისტები, რომელთაც აქვთ სარეიტინგო ტურნირში ასპარეზობის ლიცენზია.
- სარეიტინგო ჩემპიონატში მონაწილეობისთვის აუცილებელია პირად მწვრთნელებს საკუთარი მოსწავლეების საწევრო გადასახადი, თითოეულ ძიუდოისტზე 100 (ასი) ლარი, ჩარიცხული ჰქონდეთ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის საბანკო ანგარიშზე და შესაბამისი სია წარმოდგენილი იყოს (ან გამოგზავნილი ელექტრონულად gjf.registr@gmail.com) ფედერაციაში. რის შემდეგაც შესაბამის ძიუდოისტებს უფლება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ ძიუდოს ფედერაციის მიერ წლის განმავლობაში ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებში (შეჯიბრება, სემინარი, შეკრება, გამოცდა და სხვა). დამატებითი ინფორმაცია დოკუმენტაციის სახით შეგიძლიათ იხილოთ დანართში.
- დებულება საწევროს შესახებ
- კალენდარი
- საწევროს სარეგისტრაციო ფორმა
- საბანკო ანგარიში - საქართველოს ბანკი.
- მიმღების დასახელება - საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია.

  ბანკის კოდი - BAGAGE22

  მიმღების ანგარიშის ნომერი - GE55BG0000000121179301

IV. შეჯიბრების ჩატარების პირობები, დრო, ადგილი, კენჭისყრა.

- შეჯიბრება ჩატარდება 26-27 სექტემბერს თბილისში ძიუდოს აკადემიაში, ბელიაშვილის 38.
- შეჯიბრებაზე ჩამოსვლის დღე 25 სექტემბერი, წასვლის დღე 28 სექტემბერი.
- შეჯიბრების დასაწყისი 10:00.
- კენჭისყრა ჩატარდება აწონვის შემდეგ.

V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის და საქართველოს ძიუდოს ფედერაციის მიერ შემუშავებული წესების მიხედვით.
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 2 წუთი (სუფთა დრო).
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში 10 წონით კატეგორიაში:

- -30კგ, -34კგ, -38კგ, -42კგ, -46კგ, -50კგ, -55კგ, -60კგ, -66კგ, +66კგ.
- 26 სექტემბერი: -30კგ, -34კგ, -38კგ, -42კგ, -46კგ;
- 27 სექტემბერი: -50კგ, -55კგ, -60კგ, -66კგ, +66კგ.

VI. აწონვა

- აწონვები ჩატარდება თბილისში ძიუდოს აკადემიაში, ბელიაშვილის 38, წონითი კატეგორიების მიხედვით შეჯიბრების წინა დღეს **17:00 – 18:00** საათებში;
- მონაწილეები ვალდებულნი არიან აწონვის დროს წარმოადგინონ საქართველოს მოქალაქის დამადასტურებელი ორიგინალი საბუთი - პირადობის მოწმობა ან პასპორტი.

VII. გამარჯვებულთა დაჯილდოება

- თითოეულ წონით კატეგორიაში გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის მედლებით და სიგელებით.

VIII. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:
ტელეფონი/ფაქსი 0322516466;
საკონტაქტო პირი - ზურაბ უსუფაშვილი 577994407;
ფინანსური საკითხები - ანა წიწრიაშვილი 551502244.

PS.

- შეჯიბრებაზე სპორტსმენთათვის სავალდებულოა თეთრი და ლურჯი კიმანოს ქონა.
- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.
- აკრძალულია ძიუდოისტებისთვის წონის კლება წონით კატეგორიაში მოსახვედრად. ძიუდოს ფედერაციის მხრიდან მკაცრად იქნება გაკონტროლებული მონაწილეთა წონები და შესაძლებელია კონტროლი შეჯიბრების მიმდინარეობის დროსაც. იმ მწვრთნელთა მიმართ, რომელთა ძიუდოისტებიც დაარღვევენ წონის კლების დებულებას, ფედერაცია გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს.

ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ნოზაძე